954/3-113/22 2 04022022

954/3-113/22
04-02-2022

საქართველოს ფინანსთა მინისტრს
ლაშა ხუციშვილს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხებზე.

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 162-ე მუხლის შესაბამისად „საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** 2017 წლის 1 იანვრამდე შეიმუშავებენ მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემის ვადების ამსახველ შესაბამის გრაფიკსა და წესს და მათ დასამტკიცებლად წარუდგენენ საქართველოს მთავრობას.“

გთხოვთ, გადმოგვცეთ სამინისტროს, მიერ შემუშავებული მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემის ვადების ამსახველი შესაბამისი გრაფიკი და წესი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე

საქართველოს
ფინანსთა მინისტრი
Minister of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

18611-08-03-2-202203011656

N 08-03/18611
01/03/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა წითლიძეს

ქალბატონო ანა,

განვიხილეთ თქვენი მიმდინარე წლის 4 თებერვლის №954/3-113/22 წერილი და გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილების სფეროს არ წარმოადგენს სახელმწიფო ქონების ფლობა ან/და განკარგვა. დეცენტრალიზაციის კუთხით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, თუმცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში არ ხორციელდება მიწების გადაცემის უფლებამოსილების დელეგირების მიზნით გეგმების და გრაფიკების შედგენა.

ამასთან, გაცნობებთ, რომ დეცენტრალიზაციის სტრატეგიისა და შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში წამყვანი როლი აქვს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ხოლო უშუალოდ მიწების გადაცემის საკითხი შედის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კომპეტენციაში.

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი

მინისტრი

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261444
ელ-ფოსტა: info@mof.ge
ვებ-გვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261444
E-mail: info@mof.ge
website: www.mof.ge